ბორჯომი

27 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№44 (9254)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2022 წლის, 25 ოქტომბერს გაიმართა ბორჯომის საკრებულოს გეგმიური სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიდა „ბაკურიანისა და სოფელი დიდი მიტარბის ტერიტორიულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის №3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტების დადგენის, სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების, ფასდაკლების სისტემის, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოა 2022 წლის 26 აგვისტოს 83 დადგენილებაში.

დეპუტატებმა დამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.

იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემას.

ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლისა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის №გ-17.17221101 განკარგულებაში.

ცვლილებები შეიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17.17213586 განკარგულებაში.

მოისმინეს მერის იურიდიული სამსახურის უფროსის **თამაზ ქისაძის** ანგარიში 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ასევე მოისმინეს მერის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ე. გოშაძის ანგარიში 2022 წელს განხორციელებული ღონისძიებების და გაწეული მუშაობის შესახებ.

დიდი ინტერესი გამოიწვია „სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს დირექტორის ქალბატონ **ეკა ორველაძის** ანგარიშმა 2022 წელს გაწეული მუშაობის და 2022-2023 წლის ზამთრის სეზონზე განსახორციელებელი პროექტების ღონისძიებების შესახებ. (ქალბატონ ეკა ორველაძის ანგარიში გამოქვეყნება).

საკრებულოს თურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად იღვწის

20 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს იურიდიულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ **მაკა მანჯავიძემ** კომისიის სხდომა გამართა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილიც** ესწრებოდა.

კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. სამოქმედო-სამუშაო გეგმის შემუშავება ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლების ზანავის, რველისა და კორტანეთის სახელდებასთან დაკავშირებით.
2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბერის (გ-17.17213586) განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
3. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები“ - საქართველოს წერილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი - 2023-2027 წლების გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების საჭიროების შესახებ
4. „დაბა ბაკურიანისა და სოფელი დიდი მიტარბის ტერიტორიულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტების დადგენის, სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების, ფასდაკლების სისტემის, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 აგვისტოს №83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.
6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ანგარიში.

ფეხიდან ამოკაფხილი ჰანგები

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მუსიკოს **გაიოზ დვალიშვილის** საღამო დეკანოზი - „ჩემი გულიდან ამოძახილი“ გაიმართა.

მან საკუთარ კომპოზიციებთან ერთად სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებები შეასრულა.

მაყურებლის წინაშე, გაიოზ დვალიშვილთან ერთად, მისი მეგობრები **რობერტ ნადირაძე** და **დავით არჩვაძე,** ასევე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლები და ჯგუფები წარსდგნენ.

ღონისძიებამ სრული ანშლაგით ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

საღამოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ფერაძე,** საკრებულოს წევრები, დეკანოზი **იოანე (ხეცურიანი),** მუსიკოსის ოჯახის წევრები და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სალოტბარო სკოლის სადაგი დღეები

ბორჯომში ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლაში ქართულ ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას ბავშვები 2015 წლიდან ეუფლებიან, აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე გასვლით ღონისძიებებსა თუ ფესტივალებში. ბავშვებს ასწავლიან პროფესიონალი მასწავლებლები: ლოტბარი - ლელა მუხურაძე და რეგენტი - ტატო ივანიძე.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისთვის გამოყოფილია სივრცე №6 საჯარო სკოლასა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი სრულყოფილი რეპეტიციის ჩასატარებლად. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ №6 სკოლის და სამუსიკო სკოლის დირექტორებს **ქეთევან ხაჩიძეს და მარინა ქიტიაშვილს** მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლები - სალოტბარო სკოლების მთავარი კოორდინატორი - **თამარ ახობაძე** და ახალგაზრდული მიმართულების ხელმძღვანელი - **სალომე ცისკარაული.**

სალოტბარო სკოლას სტუმრობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნების მაგისტრი უელსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი **ქეროლაინ ბითელი.** იგი დაინტერესებულია სკოლის სწავლების მეთოდიკითა და კონკრეტული მხარისათვის დამახასიათებელი ხალხური სიმღერებით.

სტუმრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვდნენ კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს **შალვა გოგოლაძეს,** მერის მრჩეველს კულტურის საკითხებში **გიორგი ბუგიანიშვილს.** აღსანიშნავი და სასიხარულოა მერიის გვერდში დგომა სალოტბარო სკოლის ჩამოყალიბებიდან დღემდე.

დღეს საქართველოს 30 ქალაქში ფუნქციონირებს სალოტბარო სკოლები, სადაც ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შესწავლა მსურველებს უფასოდ შეუძლიათ.

შემეცნებითი კომპანია «ემეგობრე პოლიციას»

ბორჯომში ცენტრალურ პარკში შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **გიორგი ბუხრაშვილი,** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დირექტორი **თემურ მღებრიშვილი** და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების ხელმძღვანელები.

კამპანიის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ბორჯომში სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობები ჩატარდა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობას, ასევე, დაათვალიერეს აღნიშნული დანაყოფების აღჭურვილობა და სპეცტექნიკა.

ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა გასართობ და შემეცნებით აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა.

კამპანიის ფარგლებში ასევე გრძელდება შსს-ს დანაყოფების წარმომადგენლების ვიზიტები სკოლებში. საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები იმართება მოსწავლეებთან, რომლის მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სწავლობენ მშობლიური მხარის ისტორიას

მორჯომო – საქართველოს მშვენელავ!



21 ოქტომბერს, №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, №1 საჯარო სკოლის XII^ა კლასის დამრიგებლის ქალბატონ **ლია გულიკაშვილის** და ევროპის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის **„ბორჯომო, საქართველოს მშვენებავ“!** პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის პრეზენტაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი, დეკანოზი იოანე (ხეცურიანი), დედა ბარბარე** და საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში, XII^ა კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ. მოინახულეს ძეგლები, შექმნეს ღირსშესანიშნაობების რუკა, დაამზადეს პოსტერები და და გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

№1 საჯარო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **ჯულიეტა ჯინჯოლავამ** პროექტში მონაწილე მოსწავლეები მადლიერების სიგელებით დაჯილდოვა.

ინფრასტრუქტურული პროექტები ფრთებს შლის

ბაკურიანში, თამარ მეფის ქ. №35-ში საყრდენი კედლის მშენებლობა დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, 31,5 გრძივი მეტრი სიგრძის და 4,5 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის კედელი მოეწყო, რითაც ახლომდებარე საცხოვრებელ სახლებთან გრუნტისა და საავტომობილო გზის ჩამოშლის საფრთხე მოიხსნა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად განაგრძობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

საყრდენი კედლის მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 71 556 ლარით დაფინანსდა.

მიმდინარე წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტში კიდევ რამდენიმე კედლის მოწყობა არის დაგეგმილი.

დასრულდა მოაჯირების მოწყობა

ბორჯომში, აღმაშენებლის ქუჩაზე დეკორატიული მოაჯირის მოწყობა დასრულდა.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 227 000 ლარით დაფინანსდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია ქალაქის იერსახის მოწესრიგება და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

მუდმივმოქმედი კომისია მუშაობს

ამომრჩევლების განცხადებების კვალდაკვალ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 მუდმივმოქმედი კომისიიდან ერთ-ერთია **„გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია“**, რომელსაც ბორჯომელთათვის კარგად ნაცნობი პიროვნება ბატონი **მერაბ იობაშვილი** უდგას სათავეში. კომისიაში გაერთიანებულია 11 წევრი. ისინიც როგორც ქალაქ ბორჯომის, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი დაბების და სოფლების მცხოვრებლებისათვის კარგად ნაცნობი, უმეტესობა ღვაწლმოსილი ადამიანები არიან: **ჯუმბერ კურტანიძე, ივანე გელაშვილი, ელიზავეტა კუჭუხიძე, ზურაბ ბლიაძე, დავით და კახაბერ თედიაშვილები, ანდრიუშ ირიციანი, მამუკა ლურსმანაშვილი, ზურაბ შალუტაშვილი, ამირან არუთინოვი, ვახტანგ ქვათაძე.**

– ჩვენი მუშაობის ორიენტირია კერძო თუ იურიდიული პირების განცხადებების წინასწარი განხილვა, შესწავლა ადგილზე გასვლით, შემდეგ კომისიის სხდომაზე განხილვა და დადგენილებების გამოტანა. როგორც წესი, სხდომა თვეში ერთხელ ტარდება – გვეუბნება ბატონი მერაბი.

შემოსულ განცხადებას თან ერთვის განმცხადებლის პირადობის ასლი. თუ კოლექტიური განცხადებაა, მაშინ, ბუნებრივია, განცხადებას ყველას ხელმოწერა თან ერთვის.

კომისიაში მუშაობენ პირველი კატეგორიის სპეციალისტები: **ლევან ნატბელაძე, რამაზ ხაჩიძე, მირიან კიკნაძე და ნათია გოგოლაძე.**

ზოგიერთი განცხადება, ასე რომ ვთქვათ, პრობლემატურია, ეს განსაკუთრებით კოლექტიურ განცხადებას ეხება. ადრეულ წლებშივე სადავო საითხად რჩებოდა რუსთაველის ქ. №115 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ე.წ. „ორბიტის“ წინ არსებული კედრების მოჭრა-არმოჭრა. სამი მათგანი ხმობის გამო ადრევე მოიჭრა. გასული წლის დეკემბერში საკრებულოში შემოვიდა ამ საცხოვრებელ სახლში მობინადრე 15 პიროვნების განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო: დარჩენილი ექვსი კედრის ჯიშის ხე არის გახმობის პირას მისული, საფრთხეს უქმნიან საცხოვრებელი სახლის საძირკველს, იჩრდილება ფასადი, რის შედეგადაც ნესტიანდება ოთახები. გთხოვთ, მოიჭრას ექვსივე ძირი. მართალია, ეს ნიწვოვანი ჯიშის ხეები ამშვენებდნენ ქალაქის ცენტრს, მაგრამ კომისიამ გამოიტანა მართებული დადგენილება: „ექვსი ხე ექვემდებარება მოჭრას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოები განხორციელდეს შესაბამისი სამსახურის მიერ უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით“. კომისიამ ეს დადგენილება გასული წლის დეკემბერში გასცა.

– წიწვოვანების გადაბელვა არ ხდება (არ შეიძლება), – გვეუბნება პირველი კატეგორიის სპეციალისტი ბატონი **რამაზ ხაჩიძე.** – 80 წელს მიტანებულმა ხეებმა უკვე „თავისი დრო მოჭამეს“, ამიტომ ყველა ექვემდებარება მოჭრას.

ხშირად ზოგიერთი მოქალაქე წინააღმდეგია ამა თუ იმ ხის მოჭრისა. მაშინ ხდება მისი დარწმუნება. მაგალითად, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ ორი ფიჭვის ხე მოსაჭრელი იყო. ამ აზრს ეთანხმებოდა 10 მცხოვრები, ერთი წინააღმდეგი იყო: აქაურობას მაინც ამშვენებსო. იგი დაარწმუნეს იმაში, რომ მოჭრა ჯობდა.

კომისიას ზოგჯერ შუამდგომლობა უწევს ამა თუ ორგანიზაციასთან, რათა მოიჭრას ესა თუ ის ხე. მაგალითად, პლატოზე მცხოვრები ზურაბ გოგრიჭიანი შუამდგომლობას ითხოვდა სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამმართველოს წინაშე, რათა მოჭრილიყო მისი სახლის წინ არსებული ხე, რომლის სიახლოვესაც გადიოდა 10 ათას ვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროხაზები და საფრთხეს უქმნიდა საცხოვრებელ სახლს.

განცხადებები შემოდის მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებიდანაც. ჭობისხეველი ნელი მახარაშვილი ითხოვდა მის საკუთრებაში არსებული კაკლის ხის მოჭრას. კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომ არ არის წინააღმდეგი. ახალდაბაში მცხოვრები ანა ელიზბარაშვილი ითხოვდა ერთი ძირი ცაცხვის ხის გადაბელვას 2,5 მეტრის სიმაღლეზე. შესაბამის სამსახურს დაევალა მისი გადაბელვა. ასევე სასტუმრო „სატახას“ ნება დაერთო მათივე სახსრებით გადაბელილიყო რამდენიმე ცაცხვი.

„სს „ენერგო პრო ჯორჯია“ ითხოვდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში რამდენიმე ხის მოჭრას. კომისიამ ადგილზე შეისწავლა მდგომარეობა და შემდეგ კომისიის სხდომაზე დაადგინა: განხორციელდეს არაწითელი ნუსხის სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარის მოჭრა, ხოლო მოჭრილი მერქნული რესურსი დასაწყობდეს ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავებისა და კეთილმოწყობი“-ს ტერიტორიაზე და შესაბამისად გადანაწილდეს სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

მაშასადამე, გარემოს დაცვასთან ერთად მეორე საქმეც კეთდება: სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარებიან.

ჩვენ ეს მონაცემები ძირითადად პირველი სხდომის ოქმიდან მოვიყვანეთ, რომელიც გასული წლის ბოლოს, დეკემბერში ჩატარდა. ამ დროს განცხადებებიც საკმაოდ დაგროვილი იყო. განიხილეს 13 განცხადება. შედარებით ნაკლები განცხადებები განიხილეს სხვა სხდომებზე. მაგალითად, მაისში – 11, თებერვალში – 7, მარტში – 5, ივლისში – 6 და ა.შ.

კომისიის წევრებს და დეპუტატებს ადგილზე ეხმარებიან რწმუნებულები, განცხადებების კვალდაკვალ ხვდებიან ამომრჩევლებს, ისმენენ მათ მოთხოვნებს, პრობლემებს და საკრებულოში საკითხების გადაჭრაც ამისდამიხედვით ხდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი დავით ზაალიშვილი), საერთო სხდომაზე კომისიის ხელმძღვანელები ანგარიშს აბარებენ გაწეული მუშაობის შესახებ. ცალკეული პრობლემატური საკითხების გადაჭრაში კი კომისიის წევრებს რეგულარული ურთიერთობა აქვთ რაიონის სხვა ხელმძღვანელებთან.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ მერაბ იობაშვილმა გვითხრა, კომისიის წევრებად არჩეულნი არიან „ნაციონალური პარტიის“ წევრებიც და ისინიც არანაკლებ აქტიურები არიან საკითხების შესწავლა-გადაჭრაში. ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალაქის თუ სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში ჩვენც მიგვიძღვის თავისებური წვლილი: მოჭრილი ხეების ადგილზე აუცილებლად ირგვება სხვა ახალი ნერგები და წლების შემდეგ ისინიც დაამშვენებენ ქალაქს თუ სხვა დასახლებულ პუნქტებსო.

უჩა არაგვისპირელი.

P.S. რაც შეეხება სოფლად აგრარული საკითხების მოგვარებას, ერთი წლის წინ ეს საკითხები მთლიანად გადაეცა იუსტიციის სამინისტოს, რომელსაც მიწების სისტემური რეგისტრაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებული აქვს და 2024 წლის ბოლოსთვის დაამთავრებენ.

ქალაქის მომავალი თქვენს ხელთაა

ამჯერად, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაეცნობით ახალგაზრდას, რომელმაც თავისი თავი შრომითა და სწავლით ნელ-ნელა შექმნა. აი-დი-ეს ბორჯომის ტრენინგ-ცენტრში **ნიკი ბერიძე** უკვე კარგა ხანია ერთ-ერთი ლიდერია. ის ხშირად გეგმავს და ახორციელებს მცირე გადაცემებს, სადაც თანმიმდევრულად გვაცნობს ტრენინგ-ცენტრის სიახლეებსა და მოსწავლეების საქმიანობას. ნიკი უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია – წარმატებული, ავტორიტეტული და ჭკვიანი. მან ბორჯომის №1 საჯარო სკოლა დაამთავრა წარმატებით და აქტიურად ედგა სათავეში არაფორმალური განათლების გაძლიერების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს ტრენინგცენტრში. მიზნად დასახული აქვს საკუთარი ქვეყნის, ქალაქის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა, რაც ნამდვილად გვჭირდება.

– ბორჯომის ბავშვთა და ახალგაზრდობის ტრენინგცენტრს 2019 წლიდან შევუერთდი. ტრენინგ-ცენტრი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში. აქ თითოეულ ახალგაზრდას გვიფასდება შრომა, აქტიურობა... რაც მოტივაციას გვაძლევს, რომ კიდევ უფრო მეტი რამ გავაკეთოთ როგორც ჩვენი, ასევე ჩვენი თანატოლების განვითარებისათვის. გარდა ამისა, ძალიან დასაფასებელია ის ურთიერთობები, რომელიც არსებობს ცენტრის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის. აქ ყოველთვის პოზიტიურად და თბილად გვხვდებიან და გვიქმნიან საუკეთესო გარემოს ჩვენი განვითარებისათვის“.

– რას ისურვებდი ბორჯომისთვის შენ, როგორც ერთი რიგითი ახალგაზრდა?

– ბორჯომში ვისურვებდი კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს ახალგაზრდების განვითარებისთვის, როგორც განათლების, ასევე კულტურისა თუ სპორტის სფეროში. მეც, და ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებიც აქტიურად ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ თანატოლების განვითარებაში, ვახორციელებთ ისეთი ტიპის პროექტებს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში, მიიღონ ინფორმაცია ბევრ საინტერესო თემასთან დაკავშირებით, და ასევე, სრულყოფილ პიროვნებად და მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. სამომავლოდ სურვილი მაქვს მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით კიდევ უფრო მეტი გავაკეთო ჩემი ქალაქის განვითარებისათვის. ახალგაზრდების როლი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებაში და თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა ერთგულად, შემოქმედებითად ვიღვაწოთ ჩვენი ქალაქის განვითარებისათვის.“.

მონიკა ჟანტურია

ემოციებზე საზოგადოების გულსა და გონებაში

ემოციურად რთულ თემაზე უნდა დავწერო, ამიტომ წერილის წერას გიორგი ლეონიძის სიტყვებით დავიწყებ.

„მარიტას სიკვდილმა, როგორც ხალხი იტყოდა, – მთები გადააბნელა, ქვეყანა დააცარიელა, ქვა დაადნო, კლდე დაშალა“.

ხალხური ლექსი იტყოდა: მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!

იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო, – მარიტა მოდისო!

საიქიოში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო.

ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილიხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მოგავალი ხარ!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...

უთქმელი დარდით, ცრემლით, სიბრაზით მწუხარებამ საქართველოს თითოეული მოქალაქის გულამდე მიაღწია. შადრევანი ყველას გონებას მარიტას ტრაგედიას გაახსენებს. ფერადი წყლის მიმზიდველმა შხეფებმა ყველა ფერი დაკარგა. შიშმა და უნდობლობამ მოიცვა ჩვენი გული და გონება. ყოველმა წუთმა გაიელვა, ასე შვილის შადრევანთან მიახლოების ეპიზოდებმა. და მეტი სიფრთხილისთვის თხოვნა, რომ გარე განათების ბოძებს არ შეეხოს მეგობრებთან ერთად თამაშისას.

განუზომელმა ტკივილმა მოიცვა საქართველო, სიტყვებით გადმოცემულმა მძიმე დარდმა!.. წერდნენ, და თითქოს ტკივილს იყუჩებდნენ ან სულაც უფრო იძლიერებდნენ:

– „არ მინდა ჩემი ქვეყანა დასტიროდეს გარდაცვლილ ბავშვებს და ვხედავდეთ მათ დაჩოქილ თანატოლებს“.

– „მეუღლე ვისაც ჰყავს გარდაცვლილი, არის – ქვრივი. მშობლები ვისაც არ ჰყავს, ქვია – ობოლი.

ხოლო შვილმკვდარ მშობელს სახელიც კი ვერ შეურჩიეს.

ბავშვები არ უნდა იღუპებოდნენ“!

– „ახალგაზრდების სიკვდილი იგივეა, რომ წელიწადის დროებიდან გაზაფხული ამოიღო“-ო.

მოამზადა
იზა იანვარაშვილმა

შვასუსისმგებლოდ გაბედულის სავალალო შედეგი

13 ოქტომბერს მთელი საქართველო შეძრა ვაკის პარკში დატრიალებულმა ტრაგედიამ, ყველა საინფორმაციო საშუალება, თუ სოციალური გვერდი აღნიშნული ამბის შესახებ ამცნობდა საზოგადოებას. დაიწყო ახლადგახსნილი, უკვე რეაბილიტირებული შადრევანის ირგვლივ ტყუილ-მართლის ძიება. ბევრი ქალაქის მერს ადანაშაულებდა და კატეგორიულად აცხადებდა, რომ მთავარი ბრალი ამ ამბავში მას მიუძღვის და რომ სწორედ ის გახლავთ ქალაქის თავი და სწორედ მას ეკისრება დედაქალაქის მასშტაბით ჩატარებულ სამუშაობზე პასუხისმგებლობაცო. ზოგი ადამიანი სპეციალურად დაგეგმილ პროვოკაციასაც უკავშირებს, აღნიშნავენ, რომ შადრევნის მიმდებარედ არსებული დენის კაბელები ვიღაცამ შესაძლოა წინასწარაც დააზიანა.

18 ოქტომბერს ოფიციალურად დაეკავეს ცხრა პირი ვაკის პარკის ტრაგედიასთან დაკავშირებით. სწორედ ის ადამიანები, ვისაც პირდაპირი ბრალი მიუძღვით სამუშაოების უხარისხოდ შესრულებაზე. აი, სწორედ ამ უპასუხისმგებლო ადამიანების გამო, ვაკის პარკში მდებარე შადრევანმა 13 წლის მარიტა მეფარიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. ორი მისი თანაკლასელი ბიჭი კი საბედნიეროდ გადარჩა. ამ ამბის შემდეგ გონებაში ზაფხულში საკუთარი თვალით ნანახი ამბავი ამომიტივტივდა გონებაში. ბორჯომში მუსიკალურ სკოლასთან არსებულ შადრევანთან გავიარე, შადრევანს გარშემო განათებები ამშვენებს. დენის რამდენიმე დაზიანებულმა კაბელმა მიიქცია ჩემი ყურადღება. თანაც შადრევანში რამდენიმე ახალგაზრდა იყო ჩასული გასაგრილებლად. შევცბი, ცოტა მოზრდილები იყვნენ, თუმცა კი ჩავილაპარაკე ჩემთვის, ღმერთო, პატრონი არ ჰყავთ, ან ამ კაბელებს ვერ ხედავენ? საბედნიეროდ, დღის ბოლოს აღნიშნული კაბელები შეაკეთეს. მადლობა უფალს, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დროულად იზრუნა აღნიშნულ საკითხზე, თორემ არსებულ ტერიტორიაზე უამრავი ადამიანი მოძრაობს ყოველდღიურად და ბევრჯერ მინახავს კიდეც, რომ პატარა ბავშვებსაც რამდენჯერ ხელები გაუგრილებიათ შადრევანში. თუმცა, ალბათ იმ მომენტში ვერც კი გაიფიქრებ, რომ რაღაც ისეთი შეიძლება მოხდეს, რომ იმან სხვისი სიცოცხლე იმსხვერპლოს, მითუმეტეს გასაფიქრებლადაც კი წარმოუდგენელია, რომ მსხვერპლი ბავშვი იყოს. ამ ბოლო დღეების მანძილზე ყველანაირად ვცდილობდი, რომ ჩემ შვილებს აღნიშნულ ტრაგედიასთან დაკავშირებით ბევრი ინფორმაცია არ მიეღოთ, რომ მათი პატარა გულებისთვის ზედმეტად ემოციურად მისაღები არ ყოფილიყო. თუმცა, შეძლებისდაგვარად მაინც ვესაუბრე. სამწუხაროდ, ბოლო დღეების მანძილზე ჩემი შვილები ხშირად ახსენებენ გარდაცვლილი გოგონას სახელს, იცი დედა, იმ გოგონას მარიტა ერქვა, იცი დედა, სოციალურ ქსელში რუსული არხის ვიდეო ვნახე და მათაც გამოაცხადეს მისი გარდაცვალება. ყველაზე მეტად ჩემი შვილის ივლიტას ნათქვამმა სიტყვებმა გამაოგნა: – ხომ არ უნდა უკვდებოდეთ დედიკო, დედებს შვილები? გული შუაზე გამიპო, თითქოს სამყარო ფეხქვეშ გამომეცალა, ჩავეხუტე და აკანკალებული ხმით ვუპასუხე: – არა დე, არ უნდა უკვდებოდეთ.

P.S. ჩემი, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქის, ქალისა და დედის თხოვნა იქნება, რომ ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა დაბასა თუ სოფელში, იქ სადაც გასართობი სივრცეებია, სადაც სკვერებია, სადაც მოზარდები ერთობიან, თამაშობენ, ყველა სისტემა, რომლის გაუმართაობასაც ფატალური შედეგი შეიძლება მოყვეს, მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ, მკაცრად გააკონტროლონ შესაბამისმა სამსახურებმა, რომ მომავალში აღარ განმეორდეს ასეთი საზარელი ამბავი, რაც 13 ოქტომბერს მოხდა. მარიტას მშობლებს ხომ ვეღარავინ გაუცოცხლებს, თუმცა, მაქსიმალურმა პასუხისმგებლობამ და პროფესიონალთა მუშაობამ ნამდვილად დიდი შედეგი შეიძლება გამოიღოს.

ნატო მელიქიძე

კულტურული ცხოვრება გავხადოთ უფრო აქტიური!

ბორჯომის მერის მრჩეველად კულტურის დარგში სამიოდე თვეა, რაც დაინიშნა ბიორგი ბუგიანიშვილი. მისასალმებელია, როცა ასეთი დონის პროფესიონალი იბარებს საქმეს, რომელიც მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, რადგან ყოველდღიურ რუტინადან თავის დასაღწევად ისევ სულიერ-კულტურულ საზრდოს თუ მოიკითხავს ადამიანი. ამავდროულად, ამ პატარა ქალაქში ხშირად და ადვილად გაიგონებდით სამართლიან საყვედურებს, კულტურის დარგში არაფერი კეთდება, რა მოხდება უზრუნველყონ საინტერესო შეხვედრები, დაინიშნოს კარგი სპექტაკლები, გაიმართოს გეგმოვნებიანი კონცერტები.

არ შემიძლია ამ მოკლე ხანში არ გამოვხატო მადლიერება მე, ერთმა რიგითმა ხელოვნების მოყვარულმა ადამიანმა, რადგან რაღაცნაირად სასიკეთოდ დაეტყო ყველაფერს ამ, მართლაც კულტურული და თავაზიანი ადამიანის ხელი, მისი ხმა, მონდომება. ჩვენი ინტერვიუ პირობითად რამდენიმე ნაწილად დავყავით. იმედია, ისიამოვნებს მკითხველი და უკეთ გაიცნობს კეთილ, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებას. მას არაერთი კარგი იდეა აქვს ბორჯომის კულტურული პროცესების გასააქტიურებლად და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ამ გამონათქვამის მართებულობაში: „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“!

ბავშვობიდან დღემდე...

- დავიბადე თბილისში 1972 წელს. შემდეგ რამდენიმე წელი ვიცხოვრეთ ცხინვალში, სოფელ ხვითში, მაგრამ ჩვენი გვარის წარმოშობა რაჭიდან მოდის. ჩემი მშობლები მუშაობდნენ იქ. დედა გურული მყავს და დედის მხრიდან ყველა კარგად მღერის. სიმღერა ჩემთვის არის ცხოვრება, რომლითაც ვსუნთქავ, ვსაზრდოობ. ხელოვნებას აქვს თვისება - გიზიდავს და ღმერთმა ინება ალბათ, რომ ვყოფილიყავი იმ საზოგადოების წევრი, რომელიც კულტურისთვის იღვწვის. ბევრი რამ გავიარე. პირველი, ვისაც ვუმადლი, რომ ჩემში სიმღერის ნიჭი დაინახა, ეს იყო ცხინვალის №4 საშუალო სკოლის სიმღერის პედაგოგი, ბატონი **თამაზ სალამაძე.** მაშინ 4-5 წლის ვიყავი. ოლიმპიადაზე გამომიყვანა. პირველად გავიოქვი სახელი **თემურ ცაგურიას** ცნობილი სიმღერით „მწყემსურის“ შესრულებით. ერთ-ერთ ოლიმპიადას დაესწრო ბატონი **ვახუშტი კოტეტიშვილი,** მომისმინა და ოქროს მედლით დამაჯილდოვა. ბაბუაჩემი იჯდა მის გვერდით და უთხრა: იქნებ, ეს ბიჭი თბილისში წაიყვანო-თორ დედაჩემის მხრიდან ბიძები, მამიდები მღეროდნენ ისე კარგად, მათ მოსმენას არაფერი ჯობდა. მამაჩემის დედა კარგი მომღერალი გახლდათ. გენეტიკამაც ხელი შემიწყო. №28-ე მუსიკალურ სკოლაში - პირველი საგუნდო სკოლა დავამთავრე, რომელსაც თამაზ ანდღულაძე ხელმძღვანელობდა. თბილისში მიმიყვანეს ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან ანსამბლ „მართვეში“. სანამ გარდაიცვლებოდა, 40 წელზე მეტი გავატარე ამ არაჩვეულებრივი ადამიანის გვერდით. შემდეგ მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე 1986 წელს საგუნდოსადირიჟორობზე, ბატონი ბადრი თოიძე იყო ჩემი მასწავლებელი. 1990 წელს კონსერვატორიაში ჩავაბარე იგივე ფაკულტეტზე, სადაც გივი მუნჯიშვილი იყო პედაგოგი. არეულ წლებში ხელოვნება ვიღას ახსოვდა, მაგრამ მეგობრები ვიკრიბებოდით მაინც და ამ საქმისადმი სიყვარულს ვიღრმავებდით. 1992 წელს ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელად დავინიშნე. შემდეგ ანსამბლ „რუსთავში“ გადავედი, სადაც თითქმის 30 წელი ვიმღერე. ამის შემდეგ გავაგრძელე სიმღერა დიდ მაესტროსთან, ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან. პარარელურად თეატრალურ ინსტიტუტში ჩამოვაყალიბე ანსამბლი „თეატრალები“. ბედნიერებაა ჩემთვის მოსაგონებლად ერთად თანამშრომლობის ის წლები, საიდანაც დღეს სახეზეა ყველასათვის საყვარელი „თეატრალური კვარტეტი“. ამასთანავე, 2001 წელს ჩამოვაყალიბე ბიჭების ანსამბლი „ჩოხოსნები“, რომლებიც დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ და მუდმივად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

ოჯახი შევქმენი 1999 წელს. ნათია ხიზანეიშვილია ჩემი მეუღლე, რომელთანაც ბედნიერი წლები გავიარე. ყველაფერში გვერდით მიდგას და ნამდვილად გამიმართლა, რომ მყავს ღირსეული თანამოაზრე. გვყავს სამი შვილი: ორი გოგონა - მარიამი და ნინი და ერთი ბიჭი - დემეტრე. მარიამმა დიპლომატობა გადაწყვიტა, ნინი დამამთავრებელ კლასშია და ჟურნალისტობას ფიქრობს, ხოლო ვაჟი - მუსიკალურ სემინარიაში სწავლობს და კარგად მღერის.

ახალი შემოთავაზება: საქმე-საჭრეთელი!

- ზოგადად, ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. თბილისში ცხოვრების პარარელურად, 25 წელია მიწევს ინტენსიურად ამ მშვენიერ მხარეში მოღვაწეობა. მიყვარს აქაურობა. არ არის უცხო გარემო ჩემთვის. ყველასთვის კარგად ნაცნობმა და საქმის პროფესიონალმა, ეკა ორჯონიკიძემ მთხოვა, დავფიქრებულიყავი იმაზე, რომ ჩავდგომოდი სათავეში კვლავ კულტურულ პროცესებს. შემდეგ ბორჯომის მერს, ბატონ ოთარს გავესაუბრე. მანაც დაინახა ჩემში გარკვეული პოტენციალი. სადაც არ უნდა ვიყო, მთავარია, საქმე გაკეთდეს! არასდროს არ მიმუშავია ისეთ სტრუქტურულ დაწესებულებაში, როგორიცაა მერია. ჯერ, სულ რაღაც სამ თვეს ითვლის ჩემი აქ ყოფნა. მაქსიმალურად ვცდილობ, გამოვიყენო ჩემი კავშირები, რომ ბორჯომის კულტურული ცხოვრება გახდეს ბევრად საინტერესო და დატვირთული დღის წესრიგით.

გამოწვევები და უახლოესი გეგმები

- ამ მცირე დროში რაშიც ჩავიხედე და რასაც გავეცანი ახლოს, კადრების ნაკლებობაა. საჭიროა პროფესიონალი ჩაუდგეს სათავეში საქმეს, ხელი მოკიდოს ძლიერად ნებისმიერ რეალურ ინიციატივას. რამენაირად უნდა მოვიწვიოთ და ჩავაბათ მაქსიმალურად ავტორიტეტული და საქმის მცოდნეები. ბავშვობიდან მახსოვს, ბორჯომში შესანიშნავი ფესტივალები ტარდებოდა, უამრავი გამორჩეული პიროვნება ჩამოდიოდა. საკურორტო დარბაზის დათვალიერებისას გული მომიკვდა, რადგან სრულიად ჩამოშლილია ყველაფერი. როგორ შეიძლებოდა ასე გაევრანებულიყო ყველაფერი? წლების წინ გვიმღერია კიდეც მაგ სცენაზე. ასეთი რამ გქონდეს და არ იყენებდე - გაუმართლებელია! ყველანაირად ვეცდებით დავიწყოთ მუშაობა დარბაზის აღდგენისათვის. ჩემი ხედვა მაქვს ამასთან დაკავშირებით: მინდა იყოს მთელ საქართველოში ერთ-ერთი საჩვენებელი ადგილი, ყველას უნდოდეს იქ კონცერტის გამართვა, უნდა დავუბრუნოთ ფუნქცია. ეს ჩვენი, ყველას ინტერესია! თქვენ მკითხეთ, რატომ არ აქვთ ადგილობრივ კადრებს მოტივაცია აქტიურობის თვალსაზრისით? ალბათ, არაფერიც რომ არ ხდება, იმიტომ. ძალიან კარგი ანსამბლი „ბორჯომი“ დამხვდა. ბატონ რობერტ ნადირაძესთან ერთად ვმუშაობთ უკვე ახალ რეპერტუარზეც. 22 ოქტომბერს სტუმრად ლადოობაზე ვეწვევით ცაგერს. არ მიმაჩნია, სწორად ხელოვნების სფერო მდორედ მიყვებოდეს დინებას, ეს ჩემი აზრია, მიყვარს მუშაობა. ყველაზე სასიხარულო სიახლე ისაა, რომ ბიჭუნების ანსამბლს ვაყალიბებთ, ოცდახუთამდეა მათი რიცხვი და შერჩევის პროცესია ჯერ. გვერდით მიდგას კულტურის განყოფილების მთლიანი გუნდი შალვა გოგოლაძის ხელმძღვანელობით. ზაფხულიდან მოყოლებული კარგი კონცერტები ჩატარდა, თუნდაც, გავიხსენოთ ამ ბოლოს ჯაზ-კვარტეტის ჩამოსვლა, უფრო წინ - ნორვეგიელ მომღერალთა ჯგუფი, **გია ბაღაშვილი** გვეწვია, მაგრამ ცოტა გულისტკივილით უნდა აღვნიშნო ის, რაც მართლა შესამჩნევია: დარბაზში არ იყო საკმარისი რაოდენობის მაყურებელი, არ მოდის ზუსტად ის ახალგაზრდები, რომლებსაც წესით, უნდა უნდოდეს ღირებულის მოსმენა. დღეს სოციალური ქსელით ხდება დაანონსება ამა, თუ იმ ღონისძიების და არამგონია, დროულად ინფორმაციის გაუვრცელებლობის ბრალი იყოს. დიდი ქალაქიც არ არის ბორჯომი. რასაც ვაკვირდები, ამ მოკლე ხანში, გამიჩნდა კითხვა: თუნდაც კინო ჩამოუტანო, მოვა ის სეგმენტი, ვისთვისაც იქნება გათვლილი? ყველანაირი ენთუზიაზმით ჩართულია მერი, ბატონ ოთარ არბოლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი დავით ზაალიშვილი; ისინი უარს არ გვეუბნებიან საინტერესო ადამიანების ჩამოყვანაზე. გაგიმხელთ აქვე და გეტყვით, რომ თქვენს „დაკვეთას“ ვასრულებთ: სულ მალე ჩამოვიყვანთ დმანისის თეატრის დასს სპექტაკლით „ხალდე“. შეუძლებელია ეს არ ნახოს საკუთარი ისტორიით დაინტერესებულმა მომავალმა თაობამ. მიხარია, რომ შევხვდი სკოლის დირექტორებს. მოტივირებულნი არიან ახალი თაობის განვითარებისთვის. ერთად დავგეგმეთ ბევრი რამ სამომავლოდ. საუბარია შალვა ამონაშვილის ჩამობრძანებაზეც პედაგოგებთან შესახვედრად. გვინდა წაღვერის კულტური სახლი დავტვირთოთ საინტერესო ღონისძიებებით. მაცნობეს, რომ კონსერვატორიიდან ორ როიალს გვაჩუქებენ, რომელიც დაამშვენებს წაღვერისა და ბორჯომის სცენებს.

ესაუბრა **მონიკა ჟანგბერია**

მეგობრობის და ერთგულების ეფაღონი

ჩემი წერილის გმირის შესახებ კარგა ხანია, ვფიქრობდი მისი პიროვნების სრულფასოვნად წარმოჩენას, რათა ბორჯომის საზოგადოებას გაეცნო მეტად თავმდაბალი, მშრომელი განათლებული, ერთგული და მრავალჭირნახული ადამიანი.

გოდერძი ვიქტორის ძე ლონლაძე სულ მალე 82 წლის გახდება, თუმცა ძალზე ენერგიული და მშრომელი კაცია. ისე კარგად გამოიყურება, 70 წლისა გეგონებათ.

მშრომელ, მეოჯახე კაცს, სამი შვილის მამას და 7 შვილიშვილის ბაბუას, ვერც შრომაში და ვერც მოლხენაში ძნელად, რომ ვინმე გაუტოლდეს.

ტანმორჩილია, მაგრამ ძლიერ დაკუნთული, ალალად ნაშრომი არასოდეს დანანებია სტუმრისათვის. ამავე ტრადიციებით აღზარდა ვაჟი და 2 ქალიშვილი. ბავშვობა ხარაგაულის რაიონში, სოფელ ვახანში, ობლობაში გაატარა. წიგნის მოყვარულს კარგად ახსოვდა ბრძენი კაცის ნათქვამი: „ობლის კვერი გვიან რომ გამოცხვა“. მართლაც იხტიბარი არ გაიტეხა, მამისეულ სახლკარს ავი თვალი არავის შეავლებინა, ის კი არა და, სოფლის ყველა სტუმარი თითქმის მისი გასასტუმრებელი ხდებოდა. მასთან მოსილ კაცს უპატივცემლოდ არ გაუშვებდა. სახელიც კარგი დაიგდო და მამისეულ დანატოვარ სახლკარს მზრუნველობა არ მოაკლო. ოჯახიც დიდებული შექმნა. ახალციხის რაიონიდან წამოიყვანა მართლაც მზესავით ქალი - ზეინარი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მეუღლეს. ერთი ქალიშვილი ირმა ახალდაბაში გათხოვდა, მექანიზატონ ლევან ჩადუნელზე და ყველას თავი შეაყვარა.

ქალბატონ ზეინარს ვახანის ჰაერი არ მოუხდა, ხშირად ავადმყოფობდა და გოდერძი იძულებული გახდა ამ ოციოდე წლის წინ ახალდაბაში სიძქალიშვილთან ახლოს დასახლებულიყო. მას შემდეგ გაიცნეს ახალდაბელებმა ბატონი გოდერძი. რომ იტყვიან, გაჭირვების ტალკვესია, მოხერხებული და გონიერი, ყველას დამხმარე და გვერდში მდგომი, არავისთვის არ ენანება დრო, ფინანსები, ენერგია.

დიდ ცხოვრება გამოვლილ კაცს არ ესწავლება, ვისთან როგორი დამოკიდებულება ქონდეს, უქნარა და უმაქნისთან გვერდით არ დადგება.

რაც მთავარია, შვილსა და სიძეს ერთგულად უდგას გვერდში, ხშირაც სტუმროს სხვა შვილებსაც. რამდენიმე წელია ძვირფასი მეუღლის დაკარგვით სერიოზულად დადარდიანდა, ახლა თვითონ გახდა მისახედ-მისახმარებელი. უახლოესი მეგობრები ვცდილობთ, ცოტა მაინც შევუმსუბუქოთ დარდი. ერთ დღესაც არ გამოტოვებს, სასაფლაოზე რომ არ გავიდეს და არ მოესიყვარულოს მეუღლის საფლავს.

ასეთ კაცს, როგორ არ უნდა უერთგულო, როგორ არ უნდა დაუდგე მხარში. ამ მართლაც ერთგულ, უღალატო კაცს, ნამდვილად არ აკლია ახალდაბელთა ყურადღება და გვერდში დგომა.

დღეგრძელობა მინდა ვუსურვო შრომაში დამაშვრალ გოდერძის. მისი გონიერება, გამოცდილება და სიბრძნე დღესაც ჭირდება გარშემომყოფებს, რომლებიც მზად არიან მის კიკეკაცობას ერთგულებით უპასუხონ. ამაგდარ კაცს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დათესილი სიკეთეების დაფასებას ვუსურვებთ.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ის, რაც ყველას გვაწუხებს

ბორჯომის ლამაზ ცენტრს ეს არ ეკადრება

ჩემო ბორჯომელებო! ერთი აზრი მინდა გაგიზიაროთ და იქნებ გამომეხმაუროთ!

დამეთანხმებით, რომ ბოლო წლებში ძალიან გალამაზდა ჩვენი ბორჯომი, განსაკუთრებით მისი ცენტრი. მოეწყო ახალი სკვერი №1 საშუალო სკოლის წინ. სამართულიანი უნივერმაღის შენობის წინ ცენტრალური მოედანი თუმცა შევიწროვდა, მაგრამ აქაც შესანიშნავი ახალი სკვერი გაკეთდა. დაირგო უცხოური მცენარეები და იმ რკინის ბადეს თანდათან გადაფარავს. ნარგავები რომ წამოიზრდება, ეს სკვერი უფრო დამშვენდება, თვითონ ყოფილი უნივერმაღის სამსართულიანი შენობის გარე ფასადი თუ შიდა დიზაინი უფრო კომფორტულად გამოიყურება. ასევე ამ შენობის ქუჩის მეორე მხარეს საცხოვრებელი სახლების გარე კედლები დაიფარა წვიმაგამძლე და ყინვაგამძლე ფილებით. მეორე სართულზე შავი მინა-ვიტრინების მიუხედავად, მაინც „ევროპულად“ გამოიყურება ჩვენი მერიის ორსართულიანი შენობა. განახლდა ამ შენობის მარცხენა მხარეს არსებული მოზაიკური კედელი. აქვე დაიგო ასფალტი. რაც მთავარია, შესანიშნავად მოასფალტდა ავტოსადგური (რაც მგზავრების, მძღოლების და ტურისტების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა). შარშან სასაფლაოსკენ მიმავალი საავტომობილო გზის გასწვრივ მთლიანი კედელი მოპირკეთდა. ცენტრიდან სილამაზის ხიდამდე, ხოლო ყოფილი №2 სკოლიდან მოეწყო ახალი სკვერები. მრავალ ადგილას მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები. მტკვრის მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე, საავტომობილო გზის ორივე მხარეს ტროტუარი მოასფალტდა, ან ქვაფენილი დაიგო (თუმცა, სამწუხაროდ, ზოგან უხარისხოდ).

მაგრამ სწორედ ქალაქის ცენტრში ძალიან არ მომწონს ერთი ადგილი! ეს ადგილი სულ 5-10 მეტრის რადიუსისაა და მდებარეობს „ლიბერთი ბანკის“ სიახლოვეს, ორ

აფთიაქს შორის, სადაც ტაბიძის პატარა ქუჩა მთავარ საავტომობილო გზას უერთდება. ტაბიძის ქუჩა დაბალია, ცენტრალური გზა შედარებით მაღალი, ამიტომ ამ ადგილს ყოველთვის წყალი გუბდებოდა. ასე რომ არ მომხდარიყო, გზის მშენებლებმა გზების გასაყარზე რკინის გრძელი ცხაური მოაწყვეს, სადაც წყალი ჩაედინება და ავტომანქანები ზედ გადადიან. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ცხაურის დაბლა გადის კანალიზაციის მილი, საიდანაც საშინელი სუნი ამოდის. თუ ცხვირზე ხელი არ მიიჭირე, ამ ადგილს ვერ გაიგლი!

ეს სუნი 5-6 მეტრის რადიუსზე ვრცელდება და წამლავს ყველაფერს. ალბათ „ავერსის“ აფთიაქის და მეორე სართულის მცხოვრებლებიც ამის გამო დიდ დისკომფორტს განიცდიან. შეიძლება ითქვას, ქალაქის ცენტრის მთლიან სილამაზეს ეს ადგილი აფერმკრთალებს. (აღარაფერს ვამბობ მტკვრის მარცხენა კედელში ჩატანებულ კანალიზაციის გამავალ მილებზე, საიდანაც სუნი სკვერშიც აღწევს).

ნუთუ არ შეიძლება, ისე მოეწყოს ეს ადგილი, რომ კანალიზაციის სუნი არ ამოდიოდეს? ალბათ მიწისქვეშა დიდი ბეტონის მილი დაზიანებულია და ამის გამო ყარს ყველაფერი? შეიძლება ეს დიდი მილი დაზიანებული არცაა, მაგრამ გვერდებიდან მას უერთდება კანალიზაციის სხვა პატარა მილები და ფეკალური მასა ცხაურის ქვეშ გაედინება? შორიდან დიდხანს მიცქერია ამ ადგილისათვის (თუმცა მშენებელი და არქიტექტორი არა ვარ), მაგრამ ვერ მომიფიქრებია, როგორ უნდა გადაკეთდეს აქ ყველაფერი, რომ სუნი არ აწუხებდეს გამვლელ-გამომვლელს? ალბათ შეუძლებელია ცენტრალური გზის გადათხრა მტკვრის კედლამდე. ეს რომ კიდეც გაკეთდეს, ტაბიძის ქუჩიდან, ზევიდან მომდინარე კანალიზაცია როგორ უნდა იქნეს ჩამწყვდეული მილებში, რომ სუნი ზევით არ ამოვიდეს? **ალბათ ამას დასჭირდება უზარმაზარი თანხა,** მთლიანად უნდა გადაკეთდეს და შეიცვალოს ყველაფერი.

ქალაქის ცენტრის მოპირკეთება-მოლამაზებისათვის დიდ მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მაგრამ „მადლს მარილიც მოაყარონ“ და ბარემ ეს ადგილიც მოაწესრიგონ! სხვა თუ არაფერი, ჩვენს ქალაქში ჩამოსული უამრავი ტურისტის წინაშე შერცხვენილები ნუ ვიქნებით!

თქვენ რას იტყვით, ჩემო ბორჯომელებო!?

შუანგი ჯანგირაშვილი

პოეზიის საღამო

შეგეშალა შინაჯიერებ პოეტთან

21 ოქტომბერს, ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში ბორჯომში მცხოვრები უნიჭიერესი პოეტის, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მრევლის ქალბატონი **დალი ბანცაძის** პოეზიის საღამო გაიმართა. საღამოს სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ქალბატონი **ვიოლეტა ბალაახაშვილი** გახლდათ. შემოქმედმა ქალბატონმა თავდაპირველად საკუთარი სტრიქონები საზოგადოებას პანდემიის პერიოდში სოციალური ქსელის მეშვეობით გააცნო, როდესაც ის ლექსებს ფეისბუქის გვერდზე ტვირთავდა. დიდი მოწონება ხვდა მის ლექსებს. სწორედ იმ დღიდან ბევრი ადამიანი დაინტერესდა მისი შემოქმედებით და დღეს უკვე მისი ლექსები დაახლოებით რვა პოეტურ კრებულშია დაბეჭდილი.

საღამოზე ქალბატონი დალის შემოქმედებიდან ლექსები წაიკითეს პედაგოგმა ქალბატონმა **ნინო გოგოლაძემ** და პოეტმა **იზაბელა სარქისიანმა.** ღონისძიებაზე სტუმრად იმყოფებოდნენ შემოქმედი ქალბატონის მეგობრები, ასევე პოეტები **ეთერ გაჩეჩილაძე და ია კურტანიძე.** VI საჯარო სკოლის ლიტერატურულ კლუბ „მანანას“ წევრებმა პოეტის შემოქმედებიდან ლექსები წაიკითხეს. კლუბის ხელმძღვანელმა ანასტასია ხაჩიძემ კი პოეტს კლუბის საპატიო წევრის ტიტული მიანიჭა. საოცრად გაალამაზა საღამო ექიმის, **რუსლან ჯანიძის** მიერ შესრულებულმა საკუთარმა მუსიკალურმა ნომერმა. 21 ოქტომბერს გახლდათ პოეტის დაბადების დღე და საღამოც სიმბოლურად ამ დღეს დაამთხვიეს. მისი შემოქმედება სავსეა მოყვასისა და უფლის უსაზღვრო სიყვარულით. მრავალი სტრიქონი მან გარდაცვლილი მშობლების ხსოვნას მიუძღვნა.

საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი შალვა გოგოლაძე, მერის მრჩეველი კულტურისა და განათლების დარგში **გიორგი ბუგიანიშვილი,** ბორჯომის საზოგადოება, ქალბატონი დალის შემოქმედების თაყვანისმცემლები და სასულიერო პირები.

ღონისძიება მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტის **მეუფე დანიელის** ლოცვა-კურთხევით გაიმართა.

ნატო მელიქიძე

ასწავლეთ შვილებს ადამიანობა!!!

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, დღე არ გავა, რომ საინფორმაციო საშუალებებმა სუიციდისა თუ ადამიანის მხრიდან მეორე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის შესახებ ინფორმაცია არ გაავრცელონ. მკვლელობებისა თუ თვითმკვლელობების შესახებ ამბები თითქოს ჯაჭვივით ებმის ერთმანეთს და დასასრული არ უჩანს.

„არასრულწლოვანმა თავი მოიკლა“, „მეზობელმა მეზობელი დაჭრა“, „ყოფილმა ქმარმა ცოლს შვილების თვალწინ ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა“, „შვილმა დედა მოკლა“ ეს და კიდევ მრავალი მსგავსი სათაურის მქონე სტატიებსა თუ სიუჟეტებს შეხვდებით სატელევიზიო სივრცესა თუ სოციალურ ქსელში. ამ საკითხის შესახებ საუბარს კარგა ხანია ვერიდები, თუმცა თუ არ ვიტყვი, უფრო მეტი დანაშაული მგონია. მგონია, რომ აღნიშნულ პრობლემას სათავე, ადრეულ ეტაპზე, საფუძველშივე უდევს. ნამდვილად ვეთანხმები გამოთქმას, რომ „დამნაშავეებად არ იბადებიან, დამნაშავეებად მერე ხდებიან“. სწორედ დაბადების შემდგომ ხდება მოზარდის ჩამოყალიბება ოჯახში, იმ გარემოში, სადაც იზრდება. მშობლების მაგალითი კი მისთვის უმთავრესია. შემდგომ არის სკოლა, ის გარემო, სადაც თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან 12 წელს ატარებს. აი, სწორედ სკოლა არის ის ადგილი, სადაც მოსწავლისთვის ფუნდამენტური განათლების მისაღებად ყველანაირი ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას განათლების სამინისტრომ და კონკრეტულად სკოლის ადმინისტრაციამ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წლების წინ დაწყებითი კლასის მოსწავლე გახლდით, კარგად მახსოვს, რომ II-III კლასიდან ასწავლიდნენ რელიგიის ისტორიას. სამწუხაროდ, რელიგიის გაკვეთილები წლებია ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან. სამაგიეროდ, აქტიურად ითხოვენ სკოლებში სექსუალური განათლების შესახებ სპეციალური გაკვეთილების სასწავლო გეგმაში შეტანას. რატომ? რის გამო? თუკი დავაკვირდებით წინა წლების სტატისტიკას, დავინახავთ, რომ ნაადრევად შექმნილი ოჯახების რიცხვი საკმაოდ მცირეა. ასე რომ, ამ მიმართულებით მეტი განათლების მიღება ახალგაზრდობას ნამდვილად აღარ სჭირდება. სამაგიეროდ, მოყვასის სიყვარულის დავიწყება დღითიდღე შესამჩნევია. მე პირადად, ორ გოგონას და ვაჟს ვზრდი და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შუათანა ვაჟი ჯერ მხოლოდ 8 წლისაა, მუდამ იმას ვასწავლი, რომ პატივისცემით მოექცეს დედას, საკუთარ დებს, თანაკლასელ გოგონებს (არა მარტო მათ, არამედ ყველა გოგონას). მუდამ ვეუბნები, რომ ბიჭი (კაცი), როგორც ძლიერი არსება, ქალთან შედარებით, ყოველთვის ქალის დამცველადაა გაჩენილი და არასდროს არ აქვთ მათ უფლება, რომ ქალს შეურაცხყოფა მიაყენონ. შეიძლება ზოგს სასაცილოდ არ ეყოს ეს ყოველივე, თუმცა, დიახ, სწორედ ადრეული ბავშვობიდან უნდა ესაუბროთ დედები ვაჟებს მსგავსი საკითხების შესახებ. სკოლაში რომ მიხვალთ, სანამ ნიშნებით დაინტერესდებით, ის იკითხეთ, როგორ იქცევა თქვენი შვილი, როგორ ექცევა ის თავის თანატოლ გოგონებს და შემდეგ დაინტერესდით ნიშნებით. **შვილებს ჯერ ადამიანობა ვასწავლოთ, დედებო!**

P.S. ადამიანობისა და მოყვასის სიყვარულის გარეშე დარჩენილი ადამიანი ყველაზე საშიშია ამ ქვეყნად!!!

ნატო მელიქიძე

უბედური შემთხვევა ბორჯომში

22 ოქტომბერს საღამოს 17 საათსა და 45 წუთზე, ლიკანში მესხეთის ქუჩაზე 16 სართულიანი ბინის მეორე სართულზე აფეთქება მოხდა. აფეთქებიდან სულ მალევე მოხდა რეაგირება ფაქტთან დაკავშირებით და ყველა შესაბამისი სამსახური ადგილზევე იქნა მობილიზებული. 70 ბინიან კორპუსში აფეთქების დროს შენობაში 45 ოჯახი (86 ადამიანი)იმყოფებოდა. სახლის მეპატრონე, სადაც ბინებრივი აირის აფეთქება მოხდა სახლში იმყოფებოდა, ის მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამწუხაროდ, მიყვანიდან 75 წლამდე ქალბატონი გარდაიცვალა. გარდაცვლილი ახალციხის პროზექტურაში გადაასვენეს. როგორც ბინის მაცხოვრებლები ამბობენ, ყველაზე მეტად დაზიანებულია პირველი, მეორე და მესამე სართულები. თუმცა ბინა მანამდეც ავარიული იყო და მაცხოვრებლები ეჭვობენ, რომ აფეთქების შემდეგ ბინა იმდენად დაზიანდა, რომ საცხოვრებლად აღარ გამოდგება. აფეთქებიდან მალევე მოხდა მოსახლეობის ევაკუირება და 45 ოჯახი სასტუმროებში განათავსეს. მომხდარს ლევან სამხარაულის საექსპერტო ბიურო შეისწავლის. სანამ ექსპერტიზის პასუხი მოვა მანამდე მოსახლეობა სასტუმროებში დარჩება.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ელექტრო, ან თბოენერგიის, გაზის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სამადლობელი

„აქა ყველანი კარგები არიან!..“

ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ თეთრხალათიან მედიცინის მუშაკებზე ჩვენი გაზეთიდანაც არა ერთხელ თქმულა კეთილი სიტყვა და სამადლობელი. როდესაც საკუთარი თვალით ნახავ ყველაფერს და პირადად იგრძნობ მათ გულისხმიერებას, ეს სულ სხვა ყოფილა!

ორი კვირის წინ ჩემმა მეუღლემ მარინა ბლუაშვილმა ქრონიკული აუტანელი ტკივილების და ფიზიკური გადაღლილობის (უძილობის) გამო ცნობიერება დაკარგა. მეზობლებთან ერთად დროულად მოსული სასწრაფო დახმარების მანქანის ექიმმა **რუსუდან ცერაძემ** და ექთანმა **ნანა ფცქიალაძემ** ყველაფერი გააკეთეს მისი „ამ ქვეყნად“ მობრუნებისთვის.

პირველი გულისხმიერება მიმღებ განყოფილებაში ექიმ **ხათუნა ლომსაძისაგან** ვიგრძენით. მეორე სართულზე თერაპიულ განყოფილებაში საკმაოდ ფართო პალატაში მოთავსების შემდეგ კი პირველი, რაც მოხუცი ავადმყოფი ქალებისგან მოვისმინე, ეს დიალოგი იყო:

– რა კარგია ნინო ექთანი...

– აქა ყველანი კარგები არიან!

– უპასუხა მეორემ. ეს მაშინ გადაულაპარაკეს ერთმანეთს, როცა უფროსმა ექთანმა **ნინო მაჭარაშვილმა** პალატის კარი გაიხურა.

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ჩვენც დავრწმუნდით, რომ „აქა ყველანი კარგები არიან!“ „დღეს“ შემთხვევით „ღამე“ ტყუილად არ მომიყოლეებია: მორიგე ექთნები და სანიტრები თითქოს თვალს არ ხუჭავენ და ავადმყოფებს ფეხაკრეფით თავზე ევლებიან: საჭირო წამლებს აძლევენ, ტემპერატურას უზომავენ, გადასხმის აპარატების მუშაობას ამოწმებენ და არეგულირებენ, პალატაში სისუფთავეს იცავენ.

ყოველ დილით განყოფილების გამგემ ქალბატონმა **ნუნუკა გოგოლაძემ** ყველა ავადმყოფი რომ არ მოინახულოს, გამორიცხულია! ჩემი მეუღლის მკურნალი ექიმი **მიშა გოგიაშვილი** ხომ ძველი ნაცნობივით ესაუბრებოდა და ამხნევებდა თავის პაციენტს. ბატონი მიშა, რომელიც გორის რაიონის სოფელ კარალეთიდან არის, დიდიხანია თავისი გულისხმიერებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისგან დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს. მასზე არაერთხელ დაიწერა ჩვენს გაზეთშიც. თავისი პაციენტებისათვის ასევე გულისხმიერია ექიმი-კარდიოლოგი **მანანა სებისკვერაძე.**

ნინოსთან ერთად ავადმყოფებს თავს დასტრიალებენ ექთნები: **იამზე მაისურაძე, მაია ჭოლაძე, შორენა გელაშვილი.**

ავადმყოფებთან მუდმივ ტრიალში ექთნობა ლამის „დაუსწრებლად ისწავლეს“ სანიტრებმა: **ლია გურგენიძემ, მაია ხუციშვილმა, სოფო მღებრიშვილმა და მაია გოგიტაშვილმა...**

– აქა ყველანი კარგები არიან!...

აქ პაციენტებში ადამიანი უყვართ!!!

მადლობა მათ ამისათის!

უშანგი ჯანგირაშვილი

სიტყვა მოძღვარს

შვილები ვაგიაროთ

ჩვენი შვილების თვალებში ბედნიერების პოვნა ერთ-ერთი დიდი სიხარულია, რომელიც წარმავალი არ არის, რადგან ისინი შემდგომ თავიანთ შვილებს აპოვნინებენ ბედნიერებას.

13 წლის მერე სხეული ბატონობას იწყებს სულზე... ამ დროს უნდა დავუახლოვდეთ.

დავუახლოვდეთ შვილებს ერთგულებით, მეგობრობით! (ქრისტე მოციქულებს, მენელსაცხებელ დედებს ეუბნება: მეგობრები ხართ ჩემი! რადგან თქვენ ჩემი ყველაფერი იცით). სწორეთ ამ ასაკის შემდეგ ჩვენმა შვილებმა უნდა იგრძნონ,რომ მათ ვუყვებით, ვუსმენთ და მათი აზრი, რეაქცია ჩვენთვის ძალიან ძვირფასია. არასოდეს, თუგინდ კეთილ ტყუილში, არ უნდა დაგვაფიქსირონ შვილებმა, რადგან მათში არ უნდა დაიმსხვრეს დედამიწაზე ყველაზე ღირსეული ოცნებები. ქალბატონის, რომელიც მათთვის „დედაა, მტკიცე და იმედგაუცრუებელი მეგობრობა! მზისქვეშეთში, რაც ყველაზე ვაჟკაცი კაცის სიტყვაა ყრმისთვის - „მამა, რომ იდგეს შვილის ლამაზ ოცნებებთან“.

თუ ჩვენ, დედა და მამა, ვქმნით მცირე ეკლესიას ოჯახში, სულისკვეთებას ერთობისას, მაშინ მათთვის სახლი ხდება ბედნიერების ადგილი, სადაც ყველაზე ლაღად გრძნობენ თავს, მათ იდეებს უსმენენ და არ დასცინიან, ურჩევენ და ამას მოჰყვება სიტყვები: **„უფალს ებარებოდე, დედი“,** სადაც ომახიანად ესმის სიტყვები: **„შენს უკან ჩვენი სამშობლოა და შენ ჩვენს სოფელს ეიმედები, მამი“...**

ამის შემდეგ მათთვის სახლი აღარაა საკვების მისაღები ადგილი! აღარაა საათის დასაფიქსირებელი ადგილი!... „მითხარით და მოვედი დათქმულ დროს და რაღა გინდათ!“..

აღარაა დასაძინებელი ადგილი და სასურველი სივრცე მხოლოდ მის ოთახში... ამის შემდეგ იწყებენ ჩვენი შვილები თავიანთი დაკეტილი საძინებლის კარის ღია დატოვებას (განუშორებელად სიმყუდროვისა) და შემოძახილს: „რას ყვებოდი, დეე? „რაზე ხუმრობდი, მაა?. (გამოვარდნას, კისერზე შემოხვევას) ვერ გავიგონე, კიდევ მოგვიყევი რაა.

დღეს ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვები: **,,რა თაობა მოდის! (მშობლები-შვილებსა თუ მათ მეგობრებზე) და, სამწუხაროდ, არ გვესმის სიტყვები- ,,იცით, რა მამაო, ღმერთმა შეგვინდოს, მე ცუდი დედა ვარ! მე ცუდი მამა ვარ!“.**

შვილები დედას უნდა უყურებდნენ თვალებში! დედა და შვილები კი მამას უნდა უყურებდნენ თვალებში! მამა კი თავისი სახლეულით ღმერთს უნდა შესციცინებდეს თვალებში!

ეს ხორციელი ცხოვრება, შვილებო, არის ერთი დიდი ბედნიერება.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ერთობა და სიყვარული იყოს თქვენს ოჯახებში.

ჩვენთან არს ღმერთი??

დეკანოზი იოანე ხეცურიანი

ქართული რეალობა!

1. ვალით გადახდილი ქორწილი;
2. ქუჩაში გამოტანილი რწმენა;
3. სარფიანი ნათლია;
4. ერთმანეთის შურით აშენებული უზარმაზარი სახლები, რომლებიც ისე ინგრევა, გაკეთებას ვერ ასწრებენ;
5. ახალი საპატარძლოს ხელზე 6 ბეჭედი;
6. ქორწილში ჩოხის ჩაცმით გამოხატული პატრიოტიზმი;
7. სოფლად გაყიდული სახ-კარი და ბაღ-ვენახი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრების მიზნით;
8. დიპლომისათვის სწავლა;
10. სერიალებიდან ნასწავლი კადრებით ცხოვრება;
11. მთელი წლის ნაშრომის ერთ დღეში დახარჯვა ბათუმში;
12. კაბინეტებში სამლოცველო კუთხეები;
13. ფულით ნაყიდი მოძღვრები;
14. ეკლესია ყველა კორპუსის ძირში და მიტოვებული საყდრები სოფლად;
15. დღემდე იმის გარკვევა, პირველის გადაწერა მანქანაში შეიძლება თუ არა;
16. სოციალური ქსელებისათვის გადაღებული ფოტოები და ყალბი კომენტარები: ულამაზესი ხარ; როგორ მიყვარხარ;
17. დასამუშავებელი მიწა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ხილბოეტნეული;
18. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულით ქმრის „გულაობა“;
19. დაობებული ბიბლიოთეკა;
20. უწიგნურობა, უწიგნურობა და კიდევ უწიგნურობა.

გელა გოგიტიძე,
22 ნოემბერი, 2021 წელი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეიდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე